*დოკ. №: 2103-161*

*თარიღი: 23.03.2021*

# *მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა*

| *ტერიტორიის მისამართი* | *ს/კ* | *მესაკუთრე* | *ფართობი* |
|---|---|---|---|
| *აკაკი წერეთლის გამზირი, N 45* | *01.13.06.010.019* | *შპს "ალმა"* | *4311 მ²* |

*მერქნიან მცენარეთა რაოდენობა:* ***26***

***დამკვეთი:***

***დოკუმენტის შემადგენლობა***

| | |
|---|---|
| *შესავალი* | *1* |
| *დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი* | *1* |
| *ტერიტორიის აღწერა* | *1* |
| *ჩატარებული სამუშაო* | *1* |
| *მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით* | *1* |
| *მცენარეთა მდგომარეობა* | *2* |
| *გადარგვის შესაძლებლობა* | *2* |
| *დასკვნა* | *3* |

*დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი*

*ფოტოდოკუმენტაცია: https://1drv.ms/u/s!AkxOwiqLa8PorzywoBV2COIZpScV?e=Xg8rrO*


*შემსრულებელი:*

***შპს დემასო ვუდ (405086419)***

*დირექტორი:* ***ემზარ შარია***

*demasowood@gmail.com*

*(+995) 593 18 18 70*

# შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი, N45 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.13.06.010.019 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

დოკუმენტს დანართად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი. ასევე, დოკუმენტის ნაწილს წარმოადგენს მასთან ელექტრონულ ფორმატში დართული მცენარეთა ფოტოდოკუმენტაცია, რომელიც https://1drv.ms/u/s!AkxOwiqLa8PorzywoBV2COlZpScV?e=Xg8rrO ბმულზე არის ინტერნეტით ხელმისაწვდომი.

# დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 1 დეკემბრის №594 კანონის შესაბამისად.

# ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 4311 მ$^2$.

ტერიტორიას გააჩნია შემდეგი ზონალური კუთვნილება:

- *ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება:* 1. ცენტრალური ზონა (ცზ); 2. ნაწილოვრივ - გეგმარებითი კარკასი (გკ)
- *ფუნქციური ზონირება:* 1. ნაწილოვრივ - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); 2. ნაწილოვრივ - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); 3. ნაწილოვრივ - გამწვანებული ტერიტორიები
- *შეზღუდვის ზონირება:* გამზირის მხარეს - ჯიხურების აკრძალვა (6 კვმ-მდე ნაგებობის განთავსების შეზღუდვა)

# ჩატარებული სამუშაო

2021 წლის 19 მარტს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.13.06.010.019 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეული მცენარის დასურათება.

(ფოტოების ინტერნეტ ბმული: https://1drv.ms/u/s!AkxOwiqLa8PorzywoBV2COlZpScV?e=Xg8rrO).

სულ, შეფასდა 26 მერქნიანი მცენარე, რომელთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

# მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

აღწერილი 26 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- **1 ინდივიდი – ხილკენკროვანი სახეობა**
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 12
- **1 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობა**
  - 1 კვიდო (Ligustrum sp.) N 25
- **24 ინდივიდი (11 ხმობადი, 1 ზეხმელი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 4 ხემყრალი (Ailanthus altissima) NN 3, 4, 5, 17
  - 3 თუთა (Morus sp.) NN 1, 2, 14
  - 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 18 (ზეხმელი), 20 (ხმობადი), 21 (ხმობადი), 22 (ხმობადი), 23 (ხმობადი)

- 7 ალვის ხე (Populus nigra) NN 6 (ხმობადი), 7 (ხმობადი), 8 (ხმობადი), 9 (ხმობადი), 10 (ხმობადი), 11 (ხმობადი), 19 (ხმობადი)
- 4 თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia) NN 13, 15, 16, 24
- 1 იაპონური სოფორა (Sophora Japonica) N 26

**ტერიტორიაზე არ მდებარეობს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მერქნიანი სახეობები.**

# მცენარეთა მდგომარეობა

აღწერილი 26 მცენარიდან:

- 14 არის ჯანსაღი (NN 1, 2, 3, 4, 5, 12, 13, 14, 15, 16, 17, 24, 25, 26)
- დანარჩენი 12 არის გადაბერებული, ამორტიზებული, ხმობადი ან ზეხმელი, ავარიული ხე-მცენარე (ალვის ხე NN 6, 7, 8, 9, 10, 11, 19; კანადური ვერხვი NN 18, 20, 21, 22, 23), რომლებიც მსხვილი გამხმარი ტოტების ჩამოცვენისა და წაქცევადობის გამო, პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ გარემოსთვის, მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის.

აუცილებელია აღნიშნული ავარიული ხეების მოჭრა. მათი აღწერის მონაცემები იხილეთ ცხრილ 1-ში.

***ცხრილი 1.*** *01.13.06.010.019 მიწის ნაკვეთზე არსებული არაჯანსაღი ხეები.*

| მც. № | მცენარის დასახელება | დიამეტრი (სმ) მიწიდან: | | სიმაღლე (მ) | აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 სმ | 1.3 მ | | |
| 6 | ალვის ხე (Populus nigra) | 95 | 70 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 7 | ალვის ხე (Populus nigra) | 76 | 64 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 8 | ალვის ხე (Populus nigra) | 99 | 86 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 9 | ალვის ხე (Populus nigra) | 97 | 84 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 10 | ალვის ხე (Populus nigra) | 107 | 92 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 11 | ალვის ხე (Populus nigra) | 94 | 83 | 12.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 18 | ვერხვი (Populus deltoides) | 83 | 64 | 4.0 | ზეხმელი/ გადატეხილი 4 მეტრზე, სურო |
| 19 | ალვის ხე (Populus nigra) | 92 | 76 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, სურო |
| 20 | ვერხვი (Populus deltoides) | 96 | 70 | 16.5 | ხმობადი/ აბედა, წვერხმელი, სურო |
| 21 | ვერხვი (Populus deltoides) | 70 | 56 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |
| 22 | ვერხვი (Populus deltoides) | 81 | 64 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |
| 23 | ვერხვი (Populus deltoides) | 96 | 70 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |

# გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს მიწის ნაკვეთზე არსებული 13 არახილკენკროვანი ინდივიდი, რომლებიც მოიცავს შემდეგ ნომრებს: 1, 2, 3, 4, 5, 13, 14, 15, 16, 17, 24, 25, 26

მათგან, 3 მცენარის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები (კვიდო N 25; ხემყრალი NN 17, 3), ხოლო 10 მცენარე არის დიდტანიანი - ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი (ხემყრალი NN 4, 5; თუთა NN 1, 14, 2; თეთრი აკაცია NN 13, 15, 16, 24; იაპონური სოფორა N 26).

# დასკვნა

2021 წლის 19 მარტს, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N45 მისამართზე, შპს “ალმას” საკუთრებაში არსებულ ს/კ 01.13.06.010.019 მიწის ნაკვეთზე ჩატარებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შედეგად დადგინდა, რომ:

- **ს/კ 01.13.06.010.019 მიწის ნაკვეთზე აღწერილი 26 მერქნიანი მცენარიდან:**
  - **1 მიეკუთვნება ხილკენკროვან სახეობას**

    1 - Ficus carica
  - **1 მიეკუთვნება ბუჩქოვან სახეობას**

    1 - Ligustrum sp.
  - **24 მიეკუთვნება დაბალი ღირებულების ფოთლოვან სახეობებს**
  - 4 - Ailanthus altissima, 3 - Morus sp., 5 - Populus deltoides, 7 - Populus nigra italica, 4 - Robinia pseudoacacia, 1 - Sophora Japonica
- **ტერიტორიაზე არ მდებარეობს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მერქნიანი სახეობები.**
- **აღწერილი მცენარეებიდან, 14 არის ჯანსაღი, 1 არის ზეხმელი (ვერხვი N18), ხოლო დანარჩენი 11 - გადაბერებული და ხმობადი, ავარიული ხე-მცენარე (ალვის ხე NN 6, 7, 8, 9, 10, 11, 19; ვერხვი NN 18, 20, 21, 22, 23)**
- **შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, აუცილებელია 11 ძირი ავარიული, გარემოსათვის და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი შემდეგი ხის მოჭრა: ალვის ხე NN 6, 7, 8, 9, 10, 11, 19; ვერხვი NN 18, 20, 21, 22, 23.**
- **საჭიროების შემთხვევაში, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს ტერიტორიაზე არსებული 13 არახილკენკროვანი მერქნიანი მცენარე. მათ შორის:**
  - **ღეროს 25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე 3 ინდივიდი**

    (NN 3, 17, 25)
  - **ღეროს 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 10 ინდივიდი**

    (NN 1, 2, 4, 5, 13, 14, 15, 16, 24, 26)

მეტი დეტალებისთვის იხილეთ:

- წინამდებარე დოკუმენტის 1-2 გვერდები;
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- წინამდებარე დასკვნასთან ელექტრონულად დართული ფოტოდოკუმენტაცია, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია https://1drv.ms/u/s!AkxOwiqLa8PorzywoBV2COIZpScV?e=Xg8rrO ბმულზე;
- დამკვეთის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერიაში წინამდებარე დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

*№2103-161 საექსპერტო დასკვნის*

## *დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.13.06.010.019*

| | |
|---|---|
| ***მისამართი:*** | თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 45 |
| ***საკადასტრო კოდი:*** | 01.13.06.010.019 |
| ***ფართობი:*** | 4311 მ$^2$ |
| ***მესაკუთრე:*** | შპს “ალმა” (ID № 204873388) |
| ***შეფასების მეთოდი:*** | ვიზუალური |
| ***შეფასების თარიღი:*** | 19.03.2021 |
| ***შემსრულებელი:*** | ლ. გოშაძე, ე. შარია |

| № | მცენარის დასახელება | დიამეტრი (სმ) მიწიდან: | | სიმაღლე (მ) | აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 სმ | 1.3 მ | | |
| 1 | თუთა (Morus sp.) | 34 | 30 | 7.5 | საღი/ გადარგვადი |
| 2 | თუთა (Morus sp.) | 37 | 27 | 7.5 | საღი/ გადარგვადი |
| 3 | ხემყრალი (Ailanthus altissima) | 24.5 | 21.3 | 8.5 | საღი/ გადარგვადი |
| 4 | ხემყრალი (Ailanthus altissima) | 37 | 29 | 8.5 | საღი/ გადარგვადი |
| 5 | ხემყრალი (Ailanthus altissima) | 30 | 27 | 8.5 | საღი/ გადარგვადი |
| 6 | ალვის ხე (Populus nigra) | 95 | 70 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 7 | ალვის ხე (Populus nigra) | 76 | 64 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 8 | ალვის ხე (Populus nigra) | 99 | 86 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 9 | ალვის ხე (Populus nigra) | 97 | 84 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 10 | ალვის ხე (Populus nigra) | 107 | 92 | 16.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 11 | ალვის ხე (Populus nigra) | 94 | 83 | 12.5 | ხმობადი/ წვერხმელი, ამორტიზირებული, აბედა, ავარიული, ფუღურო |
| 12 | ლეღვი (Ficus carica) | 32 | 15.0 | 6.5 | საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკროვანი |
| 13 | აკაცია (Robinia pseudoacacia) | 38 | 25.5 | 8.5 | საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი |
| 14 | თუთა (Morus sp.) | 48 | 30 | 8.5 | საღი/ ორკაპი/ გადარგვადი |
| 15 | აკაცია (Robinia pseudoacacia) | 30 | 28 | 8.5 | საღი/ გადარგვადი |
| 16 | აკაცია (Robinia pseudoacacia) | 29 | 22.3 | 7.5 | საღი/ სუროშემოხვეული/ გადარგვადი |
| 17 | ხემყრალი (Ailanthus altissima) | 22.0 | 16.6 | 8.5 | საღი/ გადარგვადი |
| 18 | ვერხვი (Populus deltoides) | 83 | 64 | 4.0 | ზეხმელი/ გადატეხილი 4 მეტრზე, სურო |
| 19 | ალვის ხე (Populus nigra) | 92 | 76 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, სურო |
| 20 | ვერხვი (Populus deltoides) | 96 | 70 | 16.5 | ხმობადი/ აბედა, წვერხმელი, სურო |
| 21 | ვერხვი (Populus deltoides) | 70 | 56 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |
| 22 | ვერხვი (Populus deltoides) | 81 | 64 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |
| 23 | ვერხვი (Populus deltoides) | 96 | 70 | 16.5 | ხმობადი/ ამორტიზირებული, წვერხმელი, აბედა, სურო |
| 24 | აკაცია (Robinia pseudoacacia) | 29 | 25.5 | 9.5 | საღი/ სურო/ გადარგვადი |
| 25 | კვიდო (Ligustrum sp.) | 8.6 | 3.8 | 3.5 | საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი |
| 26 | სოფორა (Sophora Japonica) | 32 | 27 | 8.5 | საღი/ სურო/ გადარგვადი |

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*